ივლისი 2017 №1

ქართული ჯარი

ერთი გუნდით, ერთი სტრატეგიით, საერთო მიზნისკენ – ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოებისთვის

რამდენჯერაც არ უნდა დავბრუნდე უკან, ყოველთვის ჯარისკაცი გავხდები – ბაჩუკი გახარია

გვ. 3

ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა ყველა ჩვენგანის ვალია

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში ბოლო ხანს ბევრი რეფორმა განხორციელდა. სამინისტრომ მიიღო თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი, სადაც მოცემულია შეიარაღებული ძალების ტრანსფორმაციისა და ბრძოლისუნარიანობის გაძლიერების ხედვა. დოკუმენტის ხუთ ძირითად მიმართულებასა და თავდაცვის სამინისტროში დღეს მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე ვესაუბრეთ საქართველოს თავდაცვის მინისტრს, ბატონ ლევან იზორიას.

გვ. 2

ინტერვიუ საქართველოს თავდაცვის მინისტრ ლევან იზორიასთან

საქართველოში ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ისტორიული სხდომა ჩატარდა

გვ. 4

მიიღე გამოწვევა – ემსახურო საქართველოს!

გვ. 4

განახლებული სავალდებულო სამხედრო სამსახური

ჯოტო კობიძე თავის მოსაზრებებს და ემოციებს სხვა ახალგაზრდებს უზიარებს და აღნიშნავს, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური ნამდვილი გამოწვევაა, გამოწვევა, რომელსაც საქართველოს ყველა მოქალაქემ, ყველა მამაკაცმა უნდა უპასუხოს.

ინტერვიუ საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგით ჯოტო კობიძესთან

როგორ ამოვიცნოთ პროპაგანდა მედიაში – ის, რაც ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს

გაზეთ „ქართული ჯარის“ წერილი პროპაგანდის შესახებ ექსპერტებისა და მკვლევრების რეკომენდაციებს მოიცავს. მიზანი საზოგადოებაში პროპაგანდისტული ტექსტების ამოცნობაა.

გვ. 6

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ეროვნული თავდაცვის აკადემიაში

შეიტანეთ წვლილი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაში!

გვ. 6

საქართველო ევროპულ ოჯახს უბრუნდება

ინტერვიუ ვიქტორ დოლიძესთან, სახელმწიფო მინისტრთან ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში

გვ. 5

ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა ყველა ჩვენგანის ვალია

ინტერვიუ საქართველოს თავდაცვის მინისტრ ლევან იზორიასთან

საქართველოს თავდაცვის სამინისტროში უახლოეს პერიოდში ბევრი რეფორმა განხორციელდა. სამინისტრომ მიიღო თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი, სადაც მოცემულია შეიარაღებული ძალების ტრანსფორმაციისა და ბრძოლისუნარიანობის გაძლიერების ხედვა. დოკუმენტის ხუთ ძირითად მიმართულებასა და თავდაცვის სამინისტროში დღეს მიმდინარე აქტუალურ საკითხებზე საქართველოს თავდაცვის მინისტრს ბატონ ლევან იზორიას ვესაუბრეთ.

ბატონო მინისტრო, ბოლო ხანებში თავდაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი, სადაც გაწერილია 2017-2020 წლებში თავდაცვის სამინისტროს ძირითადი პრიორიტეტები. რა არის დოკუმენტის ძირითადი არსი? მომავალი სამი წლის განმავლობაში რაზე აკეთებს სამინისტრო აქცენტს?

ქვეყნის წინაშე არსებული მზარდი საფრთხეების გათვალისწინებით ჩვენი მიზანია შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობის გაძლიერება. შესაბამისად, შევიმუშავეთ კონცეპტუალური ხედვა იმისათვის, რომ ამაღლდეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა და გაძლიერდეს საბრძოლო მზადყოფნა. ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში აქტიური სამუშაო პროცესების იდენტიფიცირების შედეგად, გამოიკვეთა რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის მიხედვით განისაზღვრა სამინისტროს პრიორიტეტები.

სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტში გამოიყო ხუთი ძირითადი მიმართულება: სტრატეგიული მართვა; შეიარაღებული ძალების ოპტიმიზაცია, შეიარაღებული ძალების მზადყოფნა; ინსტიტუციური განვითარება და მრავალმხრივი და ორმხრივი თანამშრომლობა. დოკუმენტის მიზანია, რომ ჩვენი აქტიური მუშაობით მივიღოთ ძლიერი და ეფექტური თავდაცვის უწყება და თანამედროვე შეიარაღებული ძალები, რომელიც შეძლებს არსებულ საფრთხეებზე რეაგირებას და ქვეყნის უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის დაცვას.

ბატონო მინისტრო, თავდაცვის სამინისტროში განხორციელებული ოპტიმიზაციის რეფორმა ოპონენტების მიერ სკეპტიკურად შეფასდა. როგორ ფიქრობთ, რამდენად სამართლიანია აღნიშნული შეფასება და რა იყო რეფორმის ძირითადი მიზანი?

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ ოპტიმიზაციის რეფორმა არის შეიარაღებული ძალების ტრანსფორმაციის უმნიშვნელოვანესი ნაწილი. თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე ოპტიმიზაციის ამოცანაა ხარჯების ისე გადანაწილება, რომ თანხების დიდი ნაწილი მოხმარდეს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებას და ნაკლები დაიხარჯოს პერსონალის მიმართულებით. გასულ წელს 670 მილიონიან ბიუჯეტში 67 პროცენტი მხოლოდ სახელფასო და სოციალურ ხარჯებზე მოდიოდა, ხოლო 33 პროცენტი ტექნიკის, ტყვია-წამლის და სხვა საჭიროებებზე იყო გათვლილი. ოპტიმიზაციის შემდეგ აღნიშნული პროპორცია მიუახლოვდება ნატოს სტანდარტებს. გარდა ამისა, უწყებაში სამხედრო პირებთან მიმართებაში არსებობს ერთგვარი პირამიდა, რომელიც მთლიანად იყო დარღვეული, ანუ, მაღალი წოდების ადამიანები, პოლკოვნიკები, ვიცე-პოლკოვნიკები იყვნენ არათანაზომიერად დიდი ოდენობით, რაც ხელს უშლიდა ახალგაზრდა კადრების დაწინაურების პერსპექტივას. სამოქალაქო პირების შემთხვევაში არსებობდა ე.წ ვარსკვლავიანი შტატები. ამ საშტატო ერთეულზე შეიძლება დანიშნულიყო ადამიანი, როგორც წოდების, ისე წოდების გარეშე და ამას არ სჭირდებოდა საკვალიფიკაციო მოთხოვნები და წლების განმავლობაში ამ გზით უწყებაში ხდებოდა საშტატო ერთეულების გაბერვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ოპტიმიზაციის რეფორმა თავდაცვის ეფექტურობის გაზრდისათვის იყო სასიცოცხლოდ აუცილებელი. ასევე მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული რეფორმა, პრაქტიკულად, არ შეხებიათ სამხედროებს. აღსანიშნავია, რომ პროცესების გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვის შესაბამისად, შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც გამოიკვლია სამინისტროში მომუშავე კადრების შესაძლებლობები, რის საფუძველზეც თავდაცვის უწყების კვალიფიციურმა კადრებმა მუშაობა განაგრძეს. მინდა დაგარწმუნოთ, რომ აღნიშნული პროცესი სამართლიანობის სრული დაცვით წარიმართა და კადრებმა რომლებმაც სამუშაო ადგილები დატოვეს, მიიღეს შესაბამისი კომპენსაცია, რომელმაც დაახლოებით ხუთი მილიონი ლარი შეადგინა.

ბატონო მინისტრო, თქვენს ბოლო გამოსვლებში ხშირად საუბრობთ ტოტალური თავდაცვის კონცეფციაზე. როგორც ვიცით, ამ მიმართულებით სამინისტრომ უკვე დაიწყო აქტიური მუშაობა? რას გულისხმობს ტოტალური თავდაცვის კონცეფცია და რას მოუტანს ის შეიარაღებულ ძალებსა და ქვეყანას?

> ტოტალური თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში საერთაშორისო პროექტების (განსაკუთრებით SNGP და GDRP) სინქრონიზებით, საერთაშორისო მისიებსა და წვრთნებში მიღებული გამოცდილებით, მთელი ეროვნული თავდაცვითი რესურსების მობილიზებითა და უწყებათაშორისი თანამშრომლობის გააქტიურებით, ქვეყნის თავდაცვითი მზადყოფნის გაძლიერება, საფრთხეების შეკავება და საქართველოს სუვერენიტეტის ეფექტიანი დაცვაა შესაძლებელი.

ქვეყნისათვის უმნიშნელოვანესია, რომ ომისა და კრიზისის შემთხვევაში ქვეყანაში მობილიზებული იყოს არამხოლოდ მთელი ეროვნული თავდაცვითი რესურსები, არამედ უწყებები და მათ შორის არსებობდეს კოორდინაციის მაღალი ხარისხი. ამ ორი კომპონენტის თავსებადობა უზრუნველყოფს ტოტალურ თავდაცვას, რა თქმა უნდა, საზოგადოების ფართო ჩართულობით. სწორედ ამას ემსახურება წვევამდელებისა და რეზერვის სისტემის ამოქმედებაც. ამ ძირითადი პრინციპის შემადგენელი ნაწილია ქვეყნის მდგრადობა. თქვენ იცით, რომ ვარშავის სამიტზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა სწორედ მდგრადობის უზრუნველყოფაზე წევრ და პარტნიორ ქვეყნებში, რომლის მიხედვითაც ქვეყნის სამხედრო შესაძლებლობებთან ერთად, ძლიერი უნდა იყოს ისეთი ელემენტები, რომლებიც სამხედრო ძალის მხარდაჭერას უზრუნველყოფს - მათ შორის პოლიტიკური და საინფორმაციო მიმართულებით.

საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია განახლებული სავალდებულო სამხედრო სამსახურის აღდგენამ. როგორია სამინისტროს პოზიცია?

იმისთვის, რომ თავდაცვის უწყებამ შეძლოს სათანადო ზომების მიღება ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების გამოწვევების საპასუხოდ, გააგრძელოს ტრანსფორმაციის პროცესი და ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება, კრიტიკულად მნიშვნელოვანია შეიარაღებული ძალების ნატოსა და პარტნიორი ქვეყნების ძალებთან თავსებადი შესაძლებლობების განვითარება. აღნიშნული მოიცავს ყურადღების გამახვილებას შემდეგ ძირითად ფაქტორებზე, როგორიცაა პერსონალი, აღჭურვა, წვრთნა, შენარჩუნება და შესაბამისი რესურსებით უზრუნველყოფა. დღიდან ჩემი სამინისტროში მოსვლისა, სწორედ ამ მიზნით, პირველი ვიზიტი, რომელიც საერთაშორისო პარტნიორებთან შედგა, იყო შვედეთში, ფინეთსა და ესტონეთში. მინდა გითხრათ, რომ ეს შემთხვევითი ნამდვილად არ არის. ჩვენ ვცდილობთ ჩვენი პარტნიორებისგან თანამედროვე საფრთხეების ეფექტურად გასანეიტრალებლად საუკეთესო გამოცდილება გავიზიაროთ. სწორედ უცხოელ პარტნიორებთან და ექსპერტებთან სამთვიანი აქტიური თანამშრომლობის შედეგად მივიღეთ აღნიშნული გადაწყვეტილება.

საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისთვის წვევამდელთა სისტემა აუცილებელია. ჩვენ არ გვინდა, ძველ სისტემას დავუბრუნდეთ და გარკვეული ნოვაციებით წარვდექით საზოგადოების წინაშე. მნიშვნელოვანი ნოვაცია გახლავთ ის, რომ წვევამდელი მიიღებს ისეთივე საბაზისო მომზადების კურსებს, როგორც საკონტრაქტო მოსამსახურე. მას ექნება განცდა, რომ არის სრულფასოვანი ჯარისკაცი. მისი ინდივიდუალური მომზადების დონე მოგვცემს

ჩვენი საბრძოლო დანაყოფების საბრძოლო მომზადების მაღალ ხარისხს. წვევამდელები გაივლიან აქტიურ თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს, რაც თვისობრივად განსხვავებული მიდგომა იქნება მანამდე არსებული სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოდელისგან. ვადიან სამხედრო მოსამსახურეს უქმე დღეებში დასვენების უფლება ექნება, რაც მანამდე შეზღუდული იყო. სავალდებულო სამსახურის ჯარისკაცები გაუმჯობესებული სოციალური პაკეტით ისარგებლებენ, ამასთან, ისინი დაზღვევის გაუმჯობესებულ პაკეტსა და გაზრდილ ანაზღაურებას მიიღებენ. გაწვევის ახალი სისტემის მიხედვით, ვადიან სამხედრო მოსამსახურეებს უქმე დღეებით სარგებლობის საშუალებაც ექნებათ. აღსანიშნავია, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური ხელს შეუწყობს ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების ინტეგრაციას სამოქალაქო თავდაცვის სისტემაში.

აღდგენილი სავალდებულო სამხედრო სამსახური მნიშვნელოვანია ტოტალური თავდაცვის პრინციპის განხორციელებისთვის. ყველა მოქალაქის ვალია ემსახუროს თავის სამშობლოს.

ბატონო მინისტრო, როგორ შეაფასებთ ჩვენი საერთაშორისო ურთიერთობების ინტენსივობას ქვეყნის ნატოში ინტეგრაციის გზაზე?

მსურს ხაზი გავუსვა, რომ საქართველო და თავდაცვის სამინისტრო პრინციპულად მიისწრაფვის საქართველოს ჩრდილო-ატლანტიკური უსაფრთხოების სივრცეში დამკვიდრებისკენ. ჩვენ გაცნობიერებული გვაქვს, რომ ეს არის უალტერნატივო არჩევანი, როგორც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების ასევე, დემოკრატიული განვითარებისთვის. ბოლო ერთი წლის განმავლობაში ნატოსთან ურთიერთობის უპრეცედენტოდ მზარდი დინამიკა გვაქვს. სექტემბერში საქართველოში იმყოფებოდნენ ნატოს ჩრდილო-ატლანტიკური საბჭოს წარმომადგენლები, გენერალური მდივნის ხელმძღვანელობით. ასევე, 2-3 მარტს საქართველოში ჩამობრძანებული იყო სამხედრო კომიტეტი, მაისში კი საპარლამენტო ასამბლეა ჩატარდა. ჩემი დაკვირვებით, ასეთი დინამიკა ჩვენი ურთიერთობების ისტორიაში არასდროს ყოფილა, რაც მიუთითებს ამ ურთიერთობის გაღრმავების ტენდენციაზე.
მადლიერება მინდა გამოვხატო ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივნის, გენერალ მატისის მიმართ, რომელმაც თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე რეფორმების შესახებ მხარდამჭერ წერილში მზაობა გამოთქვა, დაეხმაროს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ამბიციური რეფორმების განხორციელების პროცესში.

აქტიური საერთაშორისო და ორმხრივი თანამშრომლობის მკაფიო დადასტურებას წარმოადგენს საქართველოს მზადყოფნის პროგრამის (GDRP) ფარგლებში საქართველოში თანამედროვე საწვრთნელი ბაზის გახსნა.

მოგეხსენებათ, ქართველი სამხედროები გერმანიაში, ამერიკული სარდლობის მეთაურობით გადასროლისწინა მომზადებას გადიან. აღნიშნული ბაზის აშენების შედეგად, ჩვენ სამხედროებსა და ნატოს წევრი და პარტნიორი ქვეყნების სამხედროებს მიეცემათ შესაძლებლობა საქართველოში ანალოგიური წვრთნები გაიარონ. პროექტი წარმოადგენს ამერიკა-საქართველოს სტრატეგიული თანამშრომლობის კიდევ ერთ წარმატებულ მაგალითს.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ზაფხულსა და შემოდგომაზე საქართველო მასპინძლობს ორ უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო სწავლებას - Noble Partner და Agile Spirit.
პარტნიორ და რეგიონულ ქვეყნებთან ერთად დაგეგმილი ორმხრივი წვრთნები ზრდის საქართველოს შეიარაღებული ძალების მზადყოფნისა და საბრძოლო შესაძლებლობების დონეს, რაც ემსახურება ნატოსა და პარტნიორი ძალების სტანდარტებთან თავსებადობის ამაღლებას. აღსანიშნავია, რომ საქართველოში ველოდებით უმნიშვნელოვანეს სტუმრებს, გენერალ-ლეიტენანტ ფრედერიკ ჰოჯესსა და ამერიკის ვიცეპრეზიდენტს მაიკ პენსის, რომელსაც სურვილი აქვს ქართველ სამხედროებს პირადად შეხვდეს.

საქართველოს თავდაცვის უნარიანობის გაძლიერებითა და შეიარაღებული ძალების წარმატებული ტრანსფორმაციით, საერთაშორისო პარტნიორებთან ურთიერთობების გაღრმავებითა და ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების საქმეში ყველა მოქალაქის ჩართულობით, ჩვენ შევძლებთ გავუმკლავდეთ არსებულ გამოწვევებს და გავხდეთ ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ღირსეული წევრი.

რამდენჯერაც არ უნდა დავბრუნდე უკან, ყოველთვის ჯარისკაცი გავხდები

ბაჩუკი გახარია

ბაჩუკი გახარია საქართველოს შეიარაღებული ძალების ჯარისკაცია. ფორმას 2007 წლიდან ატარებს. დღესაც, როგორც ჯარში მოსვლის პირველ დღეს, დიდი მოტივაცია და ქვეყნის მშვიდობისა და ერთიანობის დაუოკებელი სურვილი ამოძრავებს. ამ პერიოდში განმავლობაში საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სხვადასხვა პოზიციებზე მსახურობდა. 2012 წელს პირველ სამშვიდობო მისიაში, ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში, ხოლო, 2016 წელს მეორე სამშვიდობო მისიაში, ასევე ავღანეთში, მაზარი შარიფში იმყოფებოდა. ამჯამად, მეორე ქვეითი ბრიგადის დაზვერვის ასეულის მეთაურია. დიდი გამოცდილებისა და კვალიფიკაციის დაგროვების მიუხედავად, ბაჩუკი არ წყვეტს არც საკუთარი თავის განვითარებას და არც ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაძლიერებისთვის ზრუნვას.

... ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როდესაც 7 წლისას ოჯახთან ერთად საკუთარი სახლის დატოვება მოუხდა.

- თქვენმა წარსულმა იქონია გავლენა თქვენს გადაწყვეტილებაზე, რომ გამხდარიყავით ჯარისკაცი, რადგან პირადად შეგეხოთ ქვეყნის ერთიანობასთან დაკავშირებული საკითხები და მოგიწიათ ტერიტორიის ცვლილება?

- მსგავსი შეხედულებები ბავშვობიდან მქონდა. პირველ კლასში ვიყავი, როდესაც აფხაზეთიდან მოგვიწია წამოსვლა. 28 სექტემბერს კოდორის ხეობიდან გადმოვედით. ძალიან მძიმე პერიოდი გამოვიარეთ.

გადაწყვეტილების მიღებისას ერთ-ერთი ფაქტორი ესეც არის, რომ დღეს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა დარღვეულია, თუმცა ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა, ეს იქნებოდა ის კუთხე სადაც მე დავიბადე და გავიზარდე, თუ, რომელიმე სხვა. ჩემთვის მთავარია მშვიდობიანი და ერთიანი საქართველო.

სკოლას რომ ამთავრებდა, ჯარში წასვლა უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა. იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის დასრულების შემდეგ, ეროვნული თავდაცვის აკადემიში ჩაირიცხა. აქედან დაიწყო მისი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში სამსახური.

- ამით ძალიან ბედნიერი ვიყავი და ახლაც ბედნიერი ვარ, რადგან ვაკეთებ იმას, რაც მიყვარს და რაც, ვფიქრობ, კარგად გამომდის.

- შეიარაღებულმა ძალებმა რამდენად შეცვალა თქვენი ცხოვრება?

- ჩვენ განსაკუთრებული დღის რეჟიმი გვაქვს. ჩვენი დროის დიდ ნაწილს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ყოფნას ვუთმობთ: პირადი შემადგენლობის აღჭურვას, წვრთნას, შემდეგ მისიის და დავალების შესრულებას, რათა წლის ნებისმიერ დროს ჩვენი ქვედანაყოფი ბრძოლისუნარიანი იყოს.

ბაჩუკი გახარიას აზრით, მისთვის და მისი თანამებრძოლებისთვის შეიარაღებულ ძალებში ყოფნის ძირითადი მოტივი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და ქვეყანაში უსაფრთხო გარემოს შექმნაა, სადაც საქართველოს თითოეული მოქალაქე თავს მშვიდად იგრძნობს.

- საერთაშორისო მისიებში მონაწილეობის საკმაოდ დიდი გამოცდილება გაქვთ, რას ფიქრობთ საერთაშორისო მისიებზე?

- საერთაშორისო მისიები ძალიან მნიშვნელოვანია საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების პროცესებისთვის, რადგან ეს ხელს უწყობს ქვეყნის ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას.

მნიშვნელოვანია გამოცდილების კუთხითაც - მისიებში ჩვენ ვსწავლობთ უცხო ქვეყნის, ნატოს წევრი ქვეყნების ჯარისკაცთა საბრძოლო მომზადების სტანდარტებს, როგორია ბრძოლის უნარები, აღჭურვილობა, შეიარაღება, ტექნიკა, ტაქტიკა. მისიებში მონაწილეობით საქართველოს შეიარაღებული ძალები იძენს მეგობრებს, როგორც ევროპაში, ასევე შეერთებულ შტატებში, ეს კი საქართველოს განვითარებისა და ნატოსთან ინტეგრაციის პროცესებზე დადებითად აისახება.

საერთაშორისო მისიაში წასვლა ბაჩუკი გახარიასთვის დიდი პასუხისმგებლობა და გამოცდილება აღმოჩნდა. ოპერაციის რაიონში მასზე და მისი ჯარისკაცების პროფესიონალიზმზე, მხარდაჭერის ამოცანის სწრაფ რეაგირებაზე იყო დამოკიდებული ყველა მოკავშირე ქვეყნის წარმომადგენლის, თითოეული ადამიანის, მოქალაქის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. მისი აზრით, ნებისმიერი მისიიდან უდიდეს გამოცდილებას იძენ. ჯარისკაცისთვის ეს არის ერთგვარი აკადემიაც, სადაც პრაქტიკულად ხედავ რა მუშაობს და რა არა, სიტუაციური ცვლილების ფონზე როგორ იცვლება ჯარისკაცების ფსიქოლოგია. მნიშვნელოვანია ბრძოლის ველზე შეძენილი მეგობრობის ფასიც.
ბაჩუკი გახარიამ ამ ხნის მანძილზე საკმაოდ დიდი გამოცდილება მიიღო, წინ ახალი მიზნებია... განვითარების, წარმატების, წინსვლის გზა, რომელიც მან უნდა გაიაროს.

- მსურს შეერთებულ შტატებში წავიდე და კაპიტნის საკარიერო კურსი გავიარო, ეს არის ის, რაც პროფესიული ზრდისთვის გამომადგება, ალბათ, ამასაც შევძლებ.

- რამდენჯერაც არ უნდა დავბრუნდე უკან, ჯარისკაცი გავხდები. მინდა ვიყო ადამიანი, რომელიც იძენდა მართალი საკუთარი თავის, ღვთისა და სამშობლოს წინაშე.

საქართველოში ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ისტორიული სხდომა ჩატარდა

26-29 მაისს საქართველოში ნატოს საპარლამენტო ასამბლეის ოთხდღიანი სხდომა გაიმართა. ასამბლეაზე ნატოს და პარტნიორი ქვეყნების კანონმდებლები მონაწილეობდნენ, რომლებიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა თემებს, მათ შორის რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებს განიხილავდნენ.

აღნიშნულთან დაკავშირებით გთავაზობთ სტატიას ნატოს საპარლამენტო ასამბლეაში განხილული საკითხების შესახებ. აგრეთვე, ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტის, ლიტვის თავდაცვის ყოფილი მინისტრის, დღეს კი ლიტვის სეიმის დეპუტატის, რასა იუკნევიჩიენესა და შვედეთის პარლამენტის (რიკსდაგის) ყოფილი თავმჯდომარისა და ნატოს ასამბლეაში შვედეთის დელეგაციის ხელმძღვანელის, ბიორნ ფონ სედოვის მოსაზრებებს, რომლებიც მათ ჩვენს ინტერვიუებში გააჟღერეს.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეა რამდენიმე მიზეზით იყო მნიშვნელოვანი:

უპირველესად, ასეთი ტიპის მაღალი დონის ვიზიტები ადასტურებს, რომ საქართველო-ნატოს ურთიერთობაში მზარდი დინამიკაა. თბილისი წარმოადგენს ისეთ უსაფრთხო დედაქალაქს, როგორიც არის რომი, ვარშავა ან ლონდონი, სადაც ნატოს წევრი ქვეყნების 250 დეპუტატი შეიძლება სამუშაო შეხვედრაზე ჩამოვიდეს. აღსანიშნავია, რომ ეს ისტორიაში რიგით მეხუთე შემთხვევა იყო, როცა ასამბლეას არაწევრი ქვეყანა მასპინძლობდა. დღეს, წინა 4 ქვეყანა - უნგრეთი, რუმინეთი, ლიტვა და ბულგარეთი, უკვე ნატოს წევრი ქვეყნები არიან.

მეორე, აღნიშნული ორგანო მნიშვნელოვანი რგოლია ნატოსა და ალიანსის წევრ ქვეყნებს შორის, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ალიანსის პოლიტიკისადმი საპარლამენტო და საზოგადოებრივი კონსენსუსის ჩამოყალიბებას. „თქვენ მონტენეგროზე ნაკლებად არ ხართ მზად ნატოში გასაწევრიანებლად; ჩვენი, ლიტვური საზოგადოება

საქართველოს უჭერს მხარს. საქართველო და უკრაინა ჩვენს საგარეო პრიორიტეტებში შედიან და ეს საკითხი ყველა პოლიტიკური ძალის ერთსულოვანი პოზიციაა“ - თქვა ჩვენთან ინტერვიუში ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტმა, ლიტვის თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა და დღეს ლიტვის სეიმის დეპუტატმა რასა იუკნევიჩიენემ. ამდენად, ნატოს წევრი ქვეყნის დეპუტატების მოსაზრება მნიშვნელოვანი ფაქტორია ნატოს გადაწყვეტილების მიმღები პირების მოსაზრებების ფორმირებისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ასამბლეაზე მიღებულ იქნა, საქართველოს მხარდამჭერი მორიგი რეზოლუცია, რომელიც მიესალმება საქათველოს თავისუფალ არჩევანს გახდეს ალიანსის წევრი ქვეყანა, აფასებს საქართველოს მნიშვნელოვან წვლილს ავღანეთის მისიაში, ადასტურებს ღია კარის პოლიტიკისადმი ურყევ მხარდაჭერას და ნატოს წევრ ქვეყნებს მოუწოდებს განაგრძონ აქტიური პოლიტიკური დიალოგი საქართველოსთვის გაწევრიანების სამოქმედო გეგმის (MAP) მინიჭების შესახებ, ქმედითი დახმარება აღმოუჩინონ საქართველოს ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის (SNGP) განხორციელების პროცესში, ხელი შეუწყონ საქართველოს შესაძლებლობებს ჰიბრიდული საფრთხეების გასამკლავებლად და საქართველოს ჩართულობას შავი ზღვის უსაფრთხოების საკითხებში

საქართველოს თავდაცვის მინისტრი, ბატონი ლევან იზორია, ასამბლეის მეორე დღეს თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტში სიტყვით წარსდგა. მან სამინისტროში მიმდინარე რეფორმის პროცესზე, მიღებულ გადაწყვეტილებებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა. მინისტრი, თავის სიტყვაში და დამსწრე დეპუტატები უსაფრთხოების გარემოსთან დაკავშირებით ერთიან პოზიციას იზიარებდნენ. „უსაფრთხოების გარემო ჩვენგან უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვს. ჩრდილოეთში რუსეთი ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს, განსაკუთრებით 2013 წლიდან, ყირიმის ოკუპაციის შემდგომ, ის არაორდინარული გამოწვევების წინაშე გვაყენებს და ჩვენგან შესაბამის მიდგომას მოითხოვს“ - განაცხადა შვედეთის პარლამენტის (რიკსდაგის) ყოფილმა თავმჯდომარემ და ნატოს ასამბლეაში შვედეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ბიორნ ფონ სედოვმა.

უსაფრთხოების გამოწვევებთან დაკავშირებით, მინისტრმა ტოტალური თავდაცვის კონცეფციაზე ისაუბრა, რომელიც სახელმწიფო რესურსების ეფექტურ მობილიზებას, საერთო ღირებულებების დასაცავად საზოგადოების მეტ კონსოლიდირებას გულისხმობს. აღნიშნული პოლიტიკა კარგად აპრობირებულია სკანდინავიის ქვეყნებში (შვედეთი, ფინეთი), ბატონი სედოვი ამბობს, რომ ცივი ომის დროს შვედეთს ჰქონდა ტოტალური თავდაცვის პოლიტიკა, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, სამხედრო ბიუჯეტის შემცირებასთან ერთად, ისიც გაუქმდა, თუმცა „ჩვენ ახლა მის აღდგენას ვაპირებთ. დაახლოებით ისე, როგორც ეს ადრე, ცივი ომის დროს გვქონდა. თუმცა მას დაემატება ინტერნეტის ფაქტორიც და ძველისგან სწორედ ამით იქნება განსხვავებული. ჩვენ ვგეგმავთ კრიზისულ სიტუაციებსა და მშვიდობიან დროზე მორგებული წვრთნების ჩატარებას, სამხედრო-სამოქალაქო თანამშრომლობასა და ამ მიმართულებით ბიუჯეტის ზრდას“. - აღნიშნა შვედეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, ბატონმა სედოვმა.

თანამედროვე გამოწვევებს შორის ჰიბრიდული ომი ერთ-ერთი ხშირად გამოყენებადი ტერმინია, რომელიც საქართველოს თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტშიც გვხვდება. ლიტველი დეპუტატი რასა იუკნევიჩიენე ამბობს, რომ ამ გამოწვევებს ისინი დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან უმკლავდებიან. ამ გზაზე კი ერთ-ერთ მნიშვნელოვან აუცილებლობას საფრთხეების სწორი იდენტიფიცირება წარმოადგენს. შვედი დეპუტატი კი ხაზს უსვამს მედიის წარმომადგენლებთან საერთო პრინციპებსა და ღირებულებებზე შეთანხმების აუცილებლობას. მისი აზრით „მცდარი ახალი ამბების, დეზინფორმაციის წინააღმდეგ თავისუფალი მედიის კრიტიკა და საჯაროობა საუკეთესო საშუალებებია, თუმცა სტოკჰოლმში ტერორისტული აქტის დროს ჟურნალისტებს სოციალურმა მედიამ დაასწრო და ბევრი დეზინფორმაციაც გავრცელდა“.

ნატოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგატების სულისკვეთება და დამოკიდებულება კიდევ ერთხელ ადასტურებს საქართველოსა და ნატოს შორის მჭიდრო თანამშრომლობას, მოკავშირე ქვეყნების მზაობას თავდაცვის ტრანსფორმაციის პროცესში დაეხმარონ საქართველოს, განსაკუთრებით საკუთარი თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაში.

მიიღე გამოწვევა - ემსახურო საქართველოს!
განახლებული სავალდებულო სამხედრო სამსახური

ჯოტო კობიძე საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგითია. სამხედრო ფიცი 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე მიიღო. რიგითი სარაკეტო თავდაცვის ბრიგადის პირველ საზენიტო ბატალიონში გაანაწილეს.

სავალდებულო სამხედრო სამსახური ჯოტოსთვის დასაწყისია, მისი მომავლის, სამხედრო კარიერის კარგი დასაწყისი, რადგან თვლის, რომ ყველა დაბრკოლებასა თუ დავალებას სამაგალითოდ გაუმკლავდა.

ჩვენი რესპონდენტი სავალდებულო სამხედრო სამსახურის მნიშვნელობაზე გვიყვება...

> სავალდებულო სამხედრო სამსახურმა, პირველ რიგში, დამანახა ურთიერთპატივისცემა და განსაკუთრებული დამოკიდებულებები ერთმანეთის მიმართ.

აქ მხოლოდ ერთი პრინციპი მუშაობს: ერთი ყველასთვის და ყველა ერთისთვის - აი ეს არის მთავარი მოტივაცია, ის, რომ ჯარში შენ მარტო არ ხარ და შენს გვერდით შენი ჯგუფია. სავალდებულო სამხედრო სამსახური უნდა გაიაროს ყველა ადამიანმა, ყველამ უნდა მოიხადოს მხედრული ვალი.

როგორი ტიპის ტრენინგები და სწავლება გაიარეთ?

თავიდან იწყება სამწყობრო მომზადებით, შემდეგ გავიარეთ სამთვიანი BCT - ის კურსი. ეს არის საწყისი საბრძოლო მომზადების კურსი, სადაც სამხედრო სწავლება და ფიზიკური მომზადება შედის - მოკლედ, ყველაფერი ის, რაც ხელს უწყობს პიროვნების ჩამოყალიბებას, ახალი უნარების განვითარებას. ვისწავლეთ პირველადი დახმარების გაწევა, საცეცხლე მომზადება, ავტომატის დაშლა, აწყობა, სამხედრო ტოპოგრაფია და სხვა.

აპირებთ თუ არა საკონტრაქტო სამსახურის გაგრძელებას შეიარაღებულ ძალებში?

ძალიან ბევრს ვფიქრობ ამაზე, მინდა რომ ეროვნული თავდაცვის აკადემიაში ჩავაბარო. ამ მიმართულებით დიდი გეგმები მაქვს. თანაც განახლებულ სავალდებულო სამხედრო სამსახურში, BCT- ის პროგრამის ფარგლებში ბევრი

ისეთი რამ გავიარეთ, რაც საკონტრაქტოებისთვისაც არის განსაზღვრული, შესაბამისად, თუ კი ჯარში სამსახურს გადავწყვეტ, ბევრი კომპონენტი უკვე გავლილად მეთვლება.
სავალდებულო სამხედრო სამსახურის გავლას ძალიან ბევრი პლუსი აქვს. ამაზე ბევრი შეიძლება ვისაუბრო, ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური, დამოუკიდებელი ცხოვრებისკენ წინ გადადგმული ნაბიჯია.

***

> ეს გამოწვევაა თითოეული ახალგაზრდის მიმართ, რომლებიც დამოუკიდებელი ცხოვრების ახალ ეტაპზე გადადიან. სავალდებულო სამხედრო სამსახურის აღდგენის აუცილებლობა რამდენიმე მნიშვნელოვანი მიზეზით იყო განპირობებული. პირველ რიგში, ეს იყო ეროვნული თავდაცვის კონცეფცია, რაც ეროვნულ დონეზე მოძალაძეთა სამხედრო მზაობას გულისხმობდა.

თავდაცვის მინისტრის ლევან იზორიას განმარტებით, აღნიშნული გადაწყვეტილება უცხოელ პარტნიორებთან და ექსპერტებთან სამთვიანი აქტიური თანამშრომლობის შემდეგ მიიღო. „საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების შედეგად მივიღე გადაწყვეტილება, რომ აღმედგინა წვევამდელების გაწვევის სისტემა, რომელიც დროებით იყო შეჩერებული. საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისთვის წვევამდელთა სისტემა აუცილებელია. მეორე მნიშვნელოვანი არგუმენტი გახლავთ ის, რომ წვევამდელთა სისტემა გაცილებით იაფია, ვიდრე საკონტრაქტო სისტემა. ჩვენ არ გვინდა, ძველ სისტემას დავუბრუნდეთ და გარკვეული ნოვაციებით წარვდექით საზოგადოების წინაშე. მნიშვნელოვანი ნოვაცია გახლავთ ის, რომ წვევამდელი მიიღებს ისეთივე საბაზისო მომზადების კურსებს, როგორც საკონტრაქ-

ტო მოსამსახურე. მას ექნება განცდა, რომ არის სრულფასოვანი ჯარისკაცი. სწორედ მისი ინდივიდუალური მომზადების დონე მოგვცემს, ჩვენი საბრძოლო დანაყოფების საბრძოლო მომზადების მაღალ ხარისხს“.

მინისტრის განცხადებით სავალდებულო სამხედრო სამსახურის ახალი სისტემა ძველისგან მნიშვნელოვნად და თვისებრივად განსხვავდება. ვადიანი სამხედრო მოსამსახურე, სამი თვის განმავლობაში, საკონტრაქტო მოსამსახურის მსგავსად, სრულფასოვან საწყის საბრძოლო მომზადებას გაივლის, რაც ერთი წლის შემდეგ მისი მაღალანაზღაურებად საკონტრაქტო სამსახურში ავტომატურად ჩარიცხვის საფუძველი გახდება. გარდა ამისა, სამთვიანი საწყისი საბრძოლო მომზადების გავლის შემდეგ, ვადიან სამხედრო მოსამსახურეებს, გარდა სამხედრო განწესში ყოფნისა, ყოველდღიურად ექნებათ საბრძოლო მომზადების საათები, ისევე როგორც ამას საკონტრაქტო სამსახურში გადიან. წვევამდელები გაივლიან აქტიურ თეორიულ და პრაქტიკულ მეცადინეობებს, რაც თვისობრივად განსხვავებული მიდგომა იქნება, მანამდე არსებული სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოდელთან. სავალდებულო სამსახურის ჯარისკაცები გაუმჯობესებული სოციალური პაკეტით ისარგებლებენ, ამასთან ისინი დაზღვევის გაუმჯობესებულ პაკეტსა და გაზრდილ ანაზღაურებას მიიღებენ. გაწვევის ახალი სისტემის მიხედვით, ვადიან სამხედრო მოსამსახურეებს უქმე დღეებით სარგებლობის საშუალებაც ექნებათ.

სავალდებულო სამხედრო გაწვევის საკითხებზე საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ვლადიმერ ჩაჩიბაიამ ისაუბრა: „აღნიშნული სამსახური თითოეულ სამხედრო მოსამსახურეს საშუალებას აძლევს სამსახური გააგრძელოს შეიარაღებული ძალების რიგებში, უკვე როგორც სამხედრო პროფესიონალმა. ასევე, მათ ექნებათ შანსი, რომ ჩაირიცხონ სამხედრო აკადემიის ერთწლიან პროგრამაში და თავიანთი სამხედრო კარიერა სერჟანტების კარიერის კუთხით განაგრძონ“.

სავალდებულო სამხედრო სამსახური არსებობს თითქმის ყველა მცირერიცხოვან ქვეყანაში, რომელიც საქართველოს მსგავსი საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე დგას.

ჩვენი რესპონდენტის, რიგითის, ჯოტო კობიძის სამხედრო გამოცდილება სავალდებულო სამხედრო სამსახურიდან იწყება. ის, თავის მოსაზრებებსა და ემოციებს სხვა ახალგაზრდებს უზიარებს და აღნიშნავს, რომ სავალდებულო სამხედრო სამსახური ნამდვილი გამოწვევაა, გამოწვევა, რომელსაც საქართველოს ყველა მოქალაქემ, ყველა მამაკაცმა უნდა უპასუხოს.

საქართველო ევროპულ ოჯახს უბრუნდება

ინტერვიუ ვიქტორ დოლიძესთან, სახელმწიფო მინისტრთან ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში

ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის ლიბერალიზაციასთან დაკავშირებით საზოგადოებაში, პოზიტიური განწყობების პარალელურად, კითხვებიც არსებობს. არ წყდება შეკითხვები გამგზავრების წესების, ვადებისა და პირობების თემაზე. სწორედ ამიტომ, საზოგადოების მიერ დასმული კითხვები, სახელმწიფო მინისტრს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში, ვიქტორ დოლიძეს მივმართეთ. მინისტრი საუბარს მილოცვით იწყებს:

> გილოცავთ! 2017 წლის 28 მარტიდან ამოქმედდა ევროკავშირთან უვიზო რეჟიმი, რაც მნიშვნელოვანი ხელშესახები სარგებელია ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე.

უვიზო რეჟიმის ძალაში შესვლა კიდევ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოს ევროპულ ოჯახში დაბრუნების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას, ბიზნეს-კავშირების გაღრმავებას, საგანმანათლებლო და კულტურული ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

ვის შეუძლია ისარგებლოს უვიზო მიმოსვლით?

უვიზო მიმოსვლით სარგებლობა შეუძლია ბიომეტრიული პასპორტის მქონე საქართველოს თითოეულ მოქალაქეს. აქვე, აღსანიშნავია, რომ უვიზო მიმოსვლასთან დაკავშირებული ყველა სარგებელი ხელმისაწვდომი იქნება ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის.

რომელ ქვეყნებზე ვრცელდება უვიზო მიმოსვლის უფლება?

28 მარტიდან საქართველოს მოქალაქეები ევროკავშირის/შენგენის წევრ ყველა ქვეყანაში, დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის გარდა, ვიზის გარეშე იმოგზაურებენ. მსურს, ყურადღება გავამახვილო იმ საკითხზე, რომ გამგზავრება შესაძლებელია მხოლოდ მოკლევადიანი ვიზიტით, ჯამური 90 დღით, ნებისმიერი 180 დღის განმავლობაში.

რას გულისხმობს მოკლევადიანი ვიზა?

მოკლევადიანი ვიზიტის მიზანი შესაძლებელია იყოს ტურისტული მოგზაურობა, ახლობლების მონახულება, საქმიანი შეხვედრების გამართვა, მოკლევადიან სასწავლო კურსებსა და ტრენინგებში, კულტურულ, სამეცნიერო და სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა და სამედიცინო სერვისებით სარგებლობა.

ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის პირობებზე როცა ვსაუბრობთ, აუცილებელია გვახსოვდეს, რომ უვიზო მიმოსვლა არ გულისხმობს ევროკავშირის/შენგენის წევრ ქვეყნებში მუშაობის და ხანგრძლივი სწავლის უფლებას.

რა რეფორმები გატარდა ქვეყნიდან ქვეყანაში გადაადგილების რეგულაციების თვალსაზრისით?

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველომ ევროინტეგრაციის გზაზე მნიშვნელოვანი რეფორმები განახორციელა ევროპული სტანდარტების განვითარებისა და შესაბამისი კანონმდებლობის დანერგვის კუთხით. სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში საქართველომ გაატარა რიგი სისტემური რეფორმები შემდეგი მიმართულებებით:

1. დოკუმენტების უსაფრთხოება;

2. საზღვრის მართვა, მიგრაცია, თავშესაფარი;

3. საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება;

4. ადამიანის ძირითადი უფლებები.

საბოლოოდ კი, მნიშვნელოვანია ვიცოდეთ, რომ უვიზო რეჟიმის ამოქმედების შემდეგ ევროკავშირი განახორციელებს მიმოსვლის პირობების შესრულების მონიტორინგს და კონკრეტული პირობების დადგომის შემთხვევაში, შესაძლოა, საქართველოს წინააღმდეგ ამოქმედდეს შეჩერების მექანიზმი.

მინისტრი აღნიშნავს, რომ უმნიშვნელოვანესია თითოეული მოქალაქის პასუხისმგებლობა, დაიცვას უვიზო მიმოსვლის წესები და გააცნობიეროს, რომ უვიზო რეჟიმის პირობების დარღვევის შემთხვევაში დგება, როგორც ინდივიდუალური პასუხისმგებლობა, ასევე იქმნება ქვეყნის მიმართ შეჩერების მექანიზმის ამოქმედების წინაპირობა.

კიდევ ერთხელ ვულოცავ ჩემს თანამოქალაქეებს და იმედს გამოვთქვამ, რომ ევროკავშირთან დაახლოების შედეგად მიღებული სიკეთე ყველა ოჯახზე სათანადოდ აისახება.

როგორ ამოვიცნოთ პროპაგანდა - ის რაც ყველა მოქალაქემ უნდა იცოდეს

გაზეთ „ქართული ჯარის“ წერილი პროპაგანდის შესახებ ექსპერტებისა და მკვლევრების რეკომენდაციებს მოიცავს. მიზანი საზოგადოებაში პროპაგანდისტული ტექსტების ამოცნობაა.

როგორ უნდა ამოიცნოს მოქალაქემ, რომ საინფორმაციო პორტალის, ერთი შეხედვით უწყინარი ტექსტის მიღმა, დეზინფორმაცია და „უცნობი“ მოტივები იმალება. გაზეთ „ქართული ჯარის“ ფურცლებზე თქვენ გაეცნობით სხვადასხვა ხედვასა და რეკომენდაციებს, თუ როგორია დღეს პროპაგანდისტული ტექსტის ამოცნობის ყველაზე მარტივი ხერხები და როგორ „არ უნდა გავხდეთ იარაღი მტრის ხელში“.

საზოგადოებრივი აზრი განსაკუთრებულ ძალას წარმოადგენს, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ყველა გადაწყვეტილებაზე და შეცვალოს მთავრობები არადემოკრატიულ ქვეყნებშიც კი. ამიტომ ძალაუფლებისა და გავლენის მოპოვებისათვის საზოგადოებრივი აზრი ყველაზე დიდი იარაღია. შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებრივი აზრის ფლობა ძალაუფლებას ნიშნავს. ძალაუფლების მოსაპოვებლად კი ხშირად აკრძალულ ხერხებსაც იყენებენ: დაშინებას, მოსყიდვას, ძალადობას და ა.შ.

ძალაუფლების მოპოვების ერთ-ერთ გზას სწორედ პროპაგანდისტული მანიპულაციების საშუალებით საზოგადოებრივი აზრის დაუფლება წარმოადგენს.

ჩვენ ვცხოვრობთ საუკუნეში, რომელშიც თითქმის შეუძლებელია მხოლოდ ერთ წყაროს ჰქონდეს ინფორმაციის მიწოდების ექსკლუზივი და რომელშიც ინფორმაცია ყველაზე დიდი ძალა გახდა. ამიტომ გადამწყვეტი სწორედ საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერის მოპოვებისთვის ბრძოლაა, ხოლო მეთოდები ბევრად დაიხვეწა. მიზანს ხშირად ადამიანთა შეცდომაში შეყვანა და მათზე გავლენის მოპოვება წარმოადგენს.

პროპაგანდისტული მანიპულაციის მრავალი გზა არსებობს, თუმცა არსებობს ისეთი ტიპის მანიპულაციები, რომლის ამოცნობა ძალიან მარტივია და ადამიანისგან ელემენტარულ ცოდნასა და ყურადღებას საჭიროებს.

ინფორმაციის დამაჯერებლობის შესაძენად პროპაგანდისტების მიერ სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება. ერთ-ერთი გავრცელებული მანიპულაცია არის ე.წ. ავტორიტეტული წყაროების გამოყენება საკუთარი მოსაზრების ჭეშმარიტების დასამტკიცებლად. ხშირად გამოიყენება ფრაზები: „მეცნიერებმა დაადგინეს“, „ექსპერტები ამბობენ“, „სანდო წყაროები ადასტურებენ“, თუმცა არ გვეუბნებიან ვინ არიან ეს მეცნიერები და ექსპერტები. ინფორმაციის გამავრცელებლები ხშირად იყენებენ ისეთ წყაროებს, რომლებიც საერთოდ ანონიმურები არიან, არ ჩანს არც საიტის მფლობელი და არც სტატიის ავტორი. ასევე, ინფორმაციის მეტი დამაჯერებლობისთვის ხშირად იყენებენ ფრაზებს: „საყოველთაოდ ცნობილია, რომ“, „ყველამ იცის“ და ა.შ.

> არ ვენდოთ ანონიმურ ავტორებსა და წყაროებს! ინფორმაციის დამაჯერებლობისათვის აუცილებელია კარგად შევისწავლოთ ინფორმაციის წყაროები!

პროპაგანდისტების მიერ საკუთარი ნათქვამის ჭეშმარიტების დასამტკიცებლად ხშირად გამოიყენება სხვადასხვა პოლიტიკოსის, სასულიერი თუ საერო მოღვაწის ფრაზები, რომლებიც ხშირად კონტექსტიდან არის ამოგლეჯილი. ინფორმაციის ჭეშმარიტების დასამტკიცებლად ცდილობენ გამოიყენონ ამა თუ იმ ადამიანის სტატუსი. მაგალითად აღიარებული მწერალი ან მეცნიერი. დამაჯერებლობისთვის განსაკუთრებით ეფექტურია როდესაც, მაგალითად, გერმანულ საზოგადოებას გერმანელი აკრიტიკებს. ხშირად ამ ადამიანების სტატუსიც კი ძალიან საკამათოა ხოლმე, თუმცა ფაქტია, ამგვარი მეთოდი საკმაოდ ეფექტურად მუშაობს პროპაგანდის წარმოებისას.

> არ მივიღოთ არაფერი უკრიტიკოდ, არც ინფორმაცია და არც ინფორმაციის წყაროების სტატუსი!

საკუთარი პროპაგანდისტული იდეების გასავრცელებლად და საწინააღმდეგო არგუმენტების გასაქარწყლებლად ხშირად გამოიყენება ადამიანის არაკეთილსინდისიერებაზე, მის „არასწორ“ ღირებულებებზე აქცენტი. პროპაგანდისტები ხშირად ცდილობენ მოახდინონ ცალკეული ადამიანების ან ჯგუფების დემონიზება და მათთვის არასასურველი იდეები მიაწერონ მათ, სწორედ ამ იდეის დისკრედიტაციისთვის.

> ფაქტებისა და არგუმენტების შესაფასებლად გავაანალიზოთ ისინი და არა მათი მთქმელები!

პროპაგანდისტები შეცდომაში შესაყვანად ხშირად იყენებენ მცდარი ანალოგიისა და მცდარი დილემის მეთოდს. მაგალითად: „განა ევროპაში ვინმე დაუშვებს, რომ ქართული პროდუქცია გავიდეს ევროპის ბაზარზე, თავისი კი – შეზღუდოს?“ მარტივი დაკვირვებაა საკმარისი, რომ მივხვდეთ, საქმე გვაქვს მცდარ დილემასთან, სადაც შეპირისპირებულია საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობა ევროპის მიერ საკუთარი პროდუქციის შეზღუდვასთან, რომლებიც არ გამორიცხავენ ერთმანეთს. მცდარ ანალოგიას ეფუძნება მტკიცება, რომ ევროკავშირში შესვლა გამოიწვევს დამოუკიდებლობის დაკარგვას, როგორც საბჭოთა პერიოდში. მარტივია დავინახოთ მცდარი პარალელის გავლების მცდელობა საბჭოთა კავშირსა და ევროკავშირს შორის, რომელიც ნებაყოფლობითი და ურთიერთსარგებელზე შექმნილი გაერთიანებაა. ანალოგიებით აზროვნება ყოველთვის მოითხოვს დაკვირვებას, ხომ არ გვაქვს საქმე მცდარ ლოგიკურ კავშირთან, ამიტომ ასეთ დროს სიფრთხილე გვმართებს. სიფრთხილე გამოვიჩინოთ ანალოგიებისა და დილემების მიმართ და კარგად დავუკვირდეთ მათ ლოგიკურ კავშირს.

პროპაგანდისტები ხშირად იყენებენ მეთოდს, რომ შექმნან საფრთხეები იქ, სადაც ის რეალურად არ არსებობს. მოახდინონ ცალკეული მოვლენებითა და ადამიანების დემონიზებით საზოგადოების დაშინება. ამისათვის იყენებენ პროპაგანდისტული მეთოდების ფართო არსენალს: ინფორმაციის გაყალბება, მცდარი პარალელები, მცდარი დილემები, „ავტორიტეტებზე“ მიმართვა, ინფორმაციის წყაროებით მანიპულაცია, ყალბი ურთიერთკავშირი, და ა.შ.

> ყალბი საფრთხეები ადამიანის მანიპულაციის კარგი საშუალებაა. ამიტომ კარგად უნდა დავაკვირდეთ არსებობს თუ არა საფრთხეები რეალურად!

როდესაც ადამიანები მტრული პროპაგანდის გავლენის ქვეშ ექცევიან, ხდებიან მანიპულაციის საშუალებანი. ცოდნა პროპაგანდაზე და მტრული პროპაგანდის ამოცნობის უნარი ნიშნავს იმას, რომ არ გავხდებით იარაღი მტრის ხელში.

ჩააბარეთ ეროვნული თავდაცვის აკადემიის თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და შეიტანეთ წვლილი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაში!

დღეისათვის საქართველოში სამხედრო განათლების განვითარების ტენდენციები საერთაშორისო სტანდარტებს უახლოვდება. ამის დასტურად ეროვნული თავდაცვის აკადემიისა და კადეტთა სამხედრო ლიცეუმის პროგრამების, სწავლების მეთოდოლოგიისა და პერსპექტივების გაცნობაც საკმარისია.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი ვიცე-პოლკოვნიკი ზაზა ჯაფარიძე სამხედრო განათლებასა და აკადემიაში უკვე კარგად დამკვიდრებულ თანამედროვე სტანდარტებზე საუბრობს.

ეროვნული თავდაცვის აკადემიის რექტორი, პოლკოვნიკი ზაზა ჯაფარიძე აღნიშნავს, რომ:

განათლება პიროვნების ინტელექტის, ზოგადი უნარ-ჩვევებისა და ფასეულობების განვითარების ერთი-ერთი ძირითადი გზაა.

იმისთვის, რომ გახდე წარმატებული უნდა მიიღო მაღალი ხარისხის განათლება, რომელიც შეესაბამება საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ

თანამედროვე სტანდარტებსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების მოთხოვნებს.

სწორედ ასეთი განათლების მიღების საშუალებას იძლევა ეროვნული თავდაცვის აკადემიის სამეთაურო-საშტაბო კოლეჯი, რომელიც მაღალი რანგის სამხედრო მოსამსახურეებს, თავდაცვის სამინისტროსა და მის მიერ განსაზღვრულ სამოქალაქო პირებს სთავაზობს უნიკალურ საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამას, რომლის ანალოგიც, ამ ეტაპზე, საქართველოში არ არის.

ეს გახლავთ თავდაცვის ანალიზის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამა, რომლის მიზანია თავდაცვის ანალიზის სპეციალობით კვალიფიციური სამხედრო და სამოქალაქო კადრების მომზადება.

> თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფს საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცრებში, თავდაცვის სამინისტროსა და მის მიერ განსაზღვრული სხვა სახელმწიფო უწყებების თანამშრომლებში აუცილებელი კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების განვითარებას.

ჩააბარეთ ეროვნული თავდაცვის აკადემიის თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და შეიტანეთ წვლილი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლებაში!

ეროვნული თავდაცვის აკადემიაში სამეთაურო-საშტაბო კოლეჯის „თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამის“ ჩაშვება 2017 წლის სექტემბრიდან იგეგმება. პროგრამა წარმოადგენს ოფიცრის უმაღლესი სამხედრო განათლებისა და აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე (სამაგისტრო) საფეხურს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცრებსა და საქართველოს სამთავრობო უწყებების თანამშრომლებში აუცილებელი კომპეტენციებისა და უნარ-ჩვევების განვითარებას.

საქართველოს შეიარაღებული ძალების შტაბის ოფიცრებისთვის, სპეციალისტებისა და სხვა სამთავრობო უწყებების წარმომადგენელთათვის სამაგისტრო პროგრამა თეორიული ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებას, თავდაცვისა და უსაფრთხოების შესაძლებლობების ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეზე შესწავლას უზრუნველყოფს.

თავდაცვის ანალიზის სამაგისტრო პროგრამაზე მიიღებიან:

► სამხედრო პირები, რომელთაც აქვთ მაიორის და ვიცე-პოლკოვნიკის სამხედრო წოდება, გავლილი აქვთ კაპიტნის საკარიერო კურსი ან მასთან გათანაბრებული სამხედრო განათლების პროგრამა და მინიჭებული აქვთ არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

► საქართველოს თავდაცვის სამინისტრო განსაზღვრავს პროგრამებზე მისაღებ სამოქალაქო კონტინგენტს, რომელთაც აქვთ არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი;

► თავდაცვის სამინისტროსა და მის მიერ განსაზღვრული სხვა სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლები, რომელთაც აქვთ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში მუშაობის გამოცდილება და არანაკლებ ბაკალავრის აკადემიური ხარისხი.

მაგისტრანტობის კანდიდატებმა უნდა ჩააბარონ:

► საერთო სამაგისტრო გამოცდა (საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე მაგისტრანტობის კანდიდატები პროგრამაზე ირიცხებიან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად);

► მისაღები გამოცდა სპეციალობაში (გამოცდის თემატიკა გამოქვეყნდება აკადემიის ვებგვერდზე მისაღები გამოცდის თარიღამდე ორი კვირით ადრე);

► სამხედრო მოსამსახურეებმა დამატებით უნდა ჩააბარონ სამეთაურო-საშტაბო კურსის მისაღები გამოცდა;

► მაგისტრანტობის კანდიდატებმა უნდა ჩააბარონ ინგლისური ენის გამოცდა (მინიმუმ CEF B2 ან STANAG 2;2;2;2) ან წარმოადგინონ ენის ცოდნის შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერტიფიკატი;

► სამოქალაქო პირებმა უნდა გაიარონ გასაუბრება.

შენიშვნა:

1. პროგრამებზე არ მიიღებიან ოფიცრები, რომელთაც ზღვრული ასაკის მიღწევამდე დარჩენილი აქვთ 5 წელზე ნაკლები.
2. პროგრამებზე არ მიიღებიან ოფიცრები, რომელთაც დამთავრებული აქვთ სამეთაურო-საშტაბო კურსი ან მისი უცხოური ეკვივალენტი.

ტრენინგი ფინანსური განათლება ჯარში დაიწყო

„ინფორმირებული სამხედრო მოსამსახურე ნიშნავს გააზრებულ არჩევანს - დანაზოგების, სესხის აღების, თავდებობის და სხვა მსგავი საკითხების შესახებ“

საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ტრენერების ტრენინგი „ფინანსური განათლება ჯარში“ დაიწყო. პროექტი კოჯორში, 21 ივნისს, გიორგი ანწუხელიძის სერჟანტთა მომზადების ცენტრში გაიხსნა. ტრენინგის შედეგად, სამხედრო მოსამსახურეები ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობის სწორ ფორმებს შეისწავლიან. პროექტის მიზანს საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ფინანსური განათლების კუთხით ცნობიერების ამაღლება და ფინანსურ ვალდებულებებთან, ფინანსების გონივრულად მართვასთან დაკავშირებით, საჭირო უნარების განვითარება წარმოადგენს.

პროექტი საქართველოს თავდაცვის სამინისტროს, საქართველოს ეროვნულ ბანკსა და „გერმანული შემნახველი ბანკების ფონდ საერთაშორისო თანამშრომლობისთვის“ შორის არსებული სამმხრივი თანამშრომლობის ფარგლებში, „გერმანული შემნახველი ბანკების ფონდ საერთაშორისო თანამშრომლობისთვის“ დაფინანსებით განხორციელდა.

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლის დაარსებიდან ერთი წელი!

თავდაცვის ინსტიტუციური აღმშენებლობის სკოლა 2016 წლის 28 ივნისს პროფესიული განვითარების ცენტრის ბაზაზე ჩამოყალიბდა. წელს სკოლას ერთი წელი შეუსრულდა. 28 ივნისს გამართულ საიუბილეო ღონისძიებას, რომელიც სასწავლო დაწესებულების ტერიტორიაზე გაიმართა, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია და შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვლადიმერ ჩაჩიბაია დაესწრნენ. მინისტრის განცხადებით DIB ნატო-საქართველოს არსებითი პაკეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პროექტია, რომელიც საერთო ღირებულებების განმტკიცებას ემსახურება და ნატოს მიერ განსაზღვრული სტრატეგიით ვითარდება.

ვიზიტი გერმანიაში

ივნისის თვეში გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტისას, საქართველოს თავდაცვის მინისტრი ლევან იზორია გერმანელ კოლეგას ურსულა ფონ დერ ლეიენს შეხვდა. საქართველოს თავდაცვის უწყებაში მიმდინარე ტრანსფორმაციის პროცესის გაცნობის შემდეგ, ურსულა ფონ დერ ლეიენმა ქართველ კოლეგას რეფორმირების გზაზე მაქსიმალური მხარდაჭერა აღუთქვა. საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, ლევან იზორიამ, ვიზიტისას ხაზგასმით აღნიშნა, რომ საქართველო ალიანსის წინაშე აღებული ვალდებულებების ერთგული რჩება და ქართული სამხედრო კონტინგენტი ნატოს ეგიდით ავღანეთში მიმდინარე საერთაშორისო მისიაში მონაწილეობას კვლავ განაგრძობს.

წერილები ჯარისკაცებს!

ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში მდებარე „მტკიცე მხარდაჭერის“ მისიის სარდლობის შტაბბინაში დისლოცირებულმა საქართველოს შეიარაღებული ძალების I ქვეითი ბრიგადის მე-12 ბატალიონის ასეულმა საქართველოდან მოსწავლეების წერილები მიიღო.

III ქვეითი ბრიგადის ასეულის ავღანეთში გაცილების ცერემონიალი.

საქართველოს ეროვნულ გვარდიას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს. მას პოლკოვნიკი ირაკლი ჭუმბურიძე ხელმძღვანელობს.

საქართველოს შეიარაღებული ძალების I ქვეითი ბრიგადის სამხედრო მოსამსახურეების შვილებმა ლუდსახარში „ზედაზენი“ მოინახულეს.

პროექტის „დავისვენოთ და ვისწავლოთ ერთად“ ფარგლებში, მანავის მომავლის ბანაკში სამხედრო დღე გაიმართა.

ქართველი იუნკერი სენ-სირის სამხედრო სკოლის სტუდენტი გახდა. იუნკერი ზურაბ მანჩხაშვილი საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან პირველი წარმომადგენელია, რომელიც სწავლას საფრანგეთის რესპუბლიკაში, სპეციალურ სამხედრო სკოლაში განაგრძობს.

საქართველოს თავდაცვის მინისტრმა, კოლუმბიის უნივერსიტეტის მკვლევარს, ამერიკელ პოლიტოლოგს, ლინკოლნ მიტჩელს უმასპინძლა.